შპს საქართველოს მელიორაცია
Georgian Amelioration LTD

N გ-3394
14/08/2019

3394-გ-2-201908141442

**შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორს ბატონ გიორგი შუხოშვილს**

**ბატონო გიორგი,**

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ" (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2019 წლის 2 აგვისტოს N04/340 (კომპანიაში რეგისტრირებული N2339) წერილი, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 84.10.38.046, 84.10.38.017) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის წინ, კომპანიის საკუთრებაში არსებული მილსადენების (საკადასტრო კოდი 84.00.111) ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზით გადაკვეთას.
გაცნობებთ, რომ ნაგავსაყრელამდე მისასვლელი, თქვენ მიერ შემოთავაზებული გზა, კვეთს ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხიდან გამომავალ სამელიორაციო დანიშნულების სამ (D=1200 მმ-იან, D=1000 მმ-იან და D=300 მმ-იან) მილსადენს, რომლებიც დღეისთვის ემსახურებიან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 300 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მორწყვას. ამჟამად მიმდინარეობს, აღნიშნულ მილსადენებზე დამოკიდებული შიდაქსელის რეაბილიტაციის პროექტის დამუშავება, რომლის განხორციელების შემდეგ სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი იქნება თეთრიწყაროს და მარნეულის მუნიციპალიტეტების 2500 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული.
ამასთან, აღნიშნული მილსადენების გასხვისების ზოლი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისი N19 ბრძანების (,,სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დატკიცების შესახებ") შესაბამისად, შეადგენს 7-7 მეტრს.
მიგვაჩნია, რომ ნაგავსაყრელის ფუნქციონირების პერიოდში მილსადენების გადამკვეთ გზაზე მძიმეწონიანი ავტომანქანების მოძრაობა, გარკვეულ საფრთხეს შეუქმნის მილსადენების ტექნიკურ მდგომარეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, თქვენს მიერ შემოთავაზებული, ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზით ხსენებული მილსადენების გადაკვეთის პროექტი წარმოდგენილ იქნეს კომპანიაში განსახილეველად და შესათანხმებლად.

პატივისცემით,

0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: (995 32) 2 001000
Georgia, Tbilisi, G. Gulua str. N6 Tel: (995 32) 2 001000
info@ag.ge www.ag.ge

ოთარ შამუგია

გენერალური დირექტორი